



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

25 სექტემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №294

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შპს „ტექნოსერვი“-სთვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ა“, „პ.ბ“ ქვეპუნქტების და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ და 19⁵ მუხლების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. სრულყოფილი საქმიანობისათვის, სათანადო სამუშაო პირობების შექმნისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ტექნოსერვი“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (შესაკეთებელ მდომარეობაში მყოფი) ავტოსატრანსპორტო საშუალება (კამაზის მარკის თვითმცვლელი, სახ. ნომერი SBB -575).

მუხლი 2. დაევალოს შ.პ.ს. „ტექნოსერვი“-სის დირექტორს (დ. რუსიეშვილს) წარმოადგინოს მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული (შესაკეთებელ მდომარეობაში მყოფი) ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმართ შედგენილი სადეფექტო აქტი და შესაბამისი ხარჯთახრიცხვა.

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 4. ქონების გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტი თან ერთვის.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ოზურგეთი

25 სექტემბერი 2013 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი,

ერთის მხრივ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს თავმჯდომარის ავთანდილ სურგულაძის სახით (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 24 ივნისის №57 განკარგულება, ს/კ 237112799), (შემდგომში „ქონების გამცემი“) და

მეორეს მხრივ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შპს „ტექნოსერვი“ (ს.კ.237113379) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით რუსიეშვილის (პირ.№33001031862) სახით (შემდგომში „ქონების მიმღები“) ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „ქონების გამცემი“ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების შესაბამისად გადასცემს „ქონების მიმღებს“ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას (კამაზის მარკის თვითმცვლელი, სახ. ნომერი SBB -575), რომელიც გადაცემის მომენტისათვის არის შესაკეთებელ მდომარეობაში.

„ქონების მიმღებ“-მა მიიღო ქონება ბალანსზე ასაყვანად.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

„ქონები გამცემი“

„ქონების მიმღები“

(ხელმოწერა)

ა. სურგულაძე

(ხელმოწერა)

დ. რუსიეშვილი

